

# საგანმანათლებლო ვიდეოს სახეობები

ნათია ქოჩლაძე - სტუ, არქიტექტურის, ურნანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი  
2021წ

## ვიდეო-სწავლება-სწავლის ერთ-ერთი საშუალება

- ◆ სწავლისთვის საუკეთესო ფორმად ბევრი ინფორმაციის სხვადასხვა მოდალობებიდან მიღებას თვლის : ტექსტის კითხვა, ხატვა, ხაზვა, მასწავლებლის ახსნის მოსმენა, ვიზუალური ინფორმაციის მიღება მედიის საშუალებით.



## რატომ იყენებენ სწავლებაში ვიდეოს?

- ◆ ვიდეოს ყურებისას სტუდენტი მულტისენსორულ სწავლაში ღებულობს მონაწილეობას. სწავლისას ორი ან მეტი გრძნობის ორგანოს გამოყენება მეტი კოგნიტური კავშირების დამყარებას უწყობს ხელს, რაც არა მარტო კონცეფციის სიღრმისეული გაგებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ პრობლემების გადაჭრის უნარებსაც სძენს.

და ...

◆ ყველას განსხვავებული სწავლის სტილი აქვს: არიან მსმენელები, რომლებიც უკეთ სწავლობენ მოსმენით; კინესთეტიკური შემსწავლელები, რომლებიც სწავლის მიზნით პრაქტიკულ საქმიანობას ამჯობინებენ; და არსებობენ ვიზუალური შემსწავლელები, რომელთაც უკეთ ესმით და ამახსოვრდებათ ინფორმაცია, როდესაც იდეები, სიტყვები და ცნებები ასოცირდება სურათებთან და ვიდეოებთან. ეს მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ იმას, რასაც ხედავენ და ვიდეო მათთვის იდეალური სასწავლო მასალაა.

## რატომ იყენებენ სწავლებაში ვიდეოს?

ვიდეოები  
ზრდის  
სტუდენტე  
ბის  
ჩართულო  
ბას.

ვიზუალური  
შესაძლებლობ  
ებიდან  
გამომდინარე  
მარტივდება  
რთული  
თემების ახსნა

ციფრული  
ვიდეორგოლე  
ბი ხელს  
უწყობს  
დისტანციურ  
ი სწავლების  
შესაძლებლობ  
ებს



## სტუდენტების ჩართულობა

---

- ◆ ვიდეო სტუდენტებს საშუალებას აძლევს საჭიროებისამებრ გადახედონ მასალას და აღიდგინონ დავიწყებული ან გამორჩენილი ინფორმაცია.

## მარტივდება რთული თემების ახსნა

---

- ◆ ვიდეოები, ისევე როგორც ანიმაცია, მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ხდება კონკრეტული პროცესი. ცნებები, რომელთა ახსნა სიტყვებით ძნელია, ისწავლება პროცესის შესრულების ყურებით.

## მარტივდება რთული თემების ახსნა

---

- ◆ ვინაიდან ვიდეო რეალური სამყაროს ვიზუალური წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა, კონტექსტუალიზაციის ეს ფორმა გამოსადეგია აბსტრაქტული თეორიების ვიზუალურად გადასაკეთებლად. მოსწავლეები ანვითარებენ კავშირს მიღებულ ცოდნასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის..



## ეხმარება სწავლის დისტანციურ რეჟიმს

- ◆ ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლისას ერთიორად მნიშვნელოვანი გახდა წერილობითი ინსტრუქციების მიცემა სტუდენტებისთვის. ინსტრუქციების ვიდეოს სახით წარმოდგენა დავალებებს უფრო მკაფიოს და ადვილად გასაგებს ხდის.

## ეხმარება სწავლის დისტანციურ რეჟიმს

- ◆ ყველა სტუდენტს და მათ ოჯახს არ აქვს წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებთან დღის ნებისმიერ მომენტში. ვიდეოს ჩაწერით თქვენ მათ აძლევთ საშუალებას არ გამოტოვონ ლექცია და ინფორმაციას თავისთვის შესაძლო დროს გაეცნონ.

## ეხმარება სწავლის დისტანციურ რეჟიმს

---

- ◆ ვიდეო მასალები საუკეთესო გამოსავალია დისტანციური სწავლებისას, მასწავლებლებს შეუძლიათ ასწავლონ სტუდენტს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე.



## განათლების სფეროში გამოყენებული ვიდეოს სახეობები

ლექციის  
ჩანაწერი

ლექცია  
სლაიდებით

„მოსაუბრე  
თავი“

გასვლითი  
ლექცია

პოდკასტი

ინტერვიუ

დოკუმენტ  
ური ვიდეო

კონცეფციის ან  
დიაგრამის  
დახაზვა

ვოდკასტი

დემონსტრაცია

ვიდეო  
ლაითბორდ  
ით

სიმულაცია

## ლექცია სლაიდებით




ამ ვიდეოებში თემის ასახსნელად გამოყენებულია სლაიდებისა და ლექციების დაწყვილების ნაცნობი მეთოდი. ეს მოიცავს ლექციის დაგეგმვას, სცენარის გააზრებას და ვიზუალურად საინტერესო სლაიდების შექმნას, რომლებიც ინფორმაციას ეფექტურად გადასცემენ. სტატიური სლაიდების გარდა შეგიძლიათ დაამატოთ ხმა, ჩასვით ვიდეო.

[www.slidescarnival.com/help-use-presentation-template](http://www.slidescarnival.com/help-use-presentation-template)

This template is free to use under [Creative Commons Attribution license](https://creativecommons.org/licenses/by/4.0/).

ასეთ ვიდეოში ადამიანი  
კამერაში საუბრობს,  
შეიძლება გამოყენებული  
იყოს გრაფიკები, ანიმაცია,  
სლაიდები, გამოსახულებები,  
რათა ვიზუალურად აღწერონ  
სათქმელი. ამ ვიდეოს  
გაკეთებას მეტი დრო  
სჭირდება, სამაგიეროდ  
მოსაუბრის ფიზიკურად იქ  
ყოფნის შთაბეჭდილებას  
ქმნის.

## „მოსაუბრე თავი“ Talking head



Talking head ვიდეო ძალიან  
ეფექტური საშუალებაა ემოციური  
ჩართულობის უზრუნველსაყოფად.



## გასვლითი ლექცია



ადგილზე ჩაწერილი ლექციები შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს აუდიტორიისთვის იმ ფიზიკური მდებარეობის განცდის შესაქმნელად, რომელსაც განიხილავთ (მაგ., ტაილანდის ნარჩენების ელექტრონული გადამუშავება). ამ ტიპის ვიდეოებს შეუძლია თემების გაცოცხლება ისე, როგორც ამას მხოლოდ ლაპარაკი ან სურათების ჩვენება ვერ შეძლებს.

ჩაწერისას ყურადღება მიაქციეთ, რომ შერჩეულ ტერიტორიაზე არ იყოს ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგალითად ხმაური.

ინტერვიუ გულისხმობს კითხვა-პასუხის ფორმატს კამერის წინ. მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნას სცენა - "ადამიანი ქუჩაში". ამ ტიპის ვიდეო სასარგებლოა სასწავლო გარემოში გარე პერსპექტივების ან ექსპერტის მოსაზრებების განსახილველად. მოიცავს დაგეგმვას, მომზადებას და კარგ კითხვებს,

## ინტერვიუ

**BERA**  
BRITISH EDUCATIONAL RESEARCH ASSOCIATION

A short video interview with

**Prof. Jean Clandinin**

Keynote Speaker, BERA Annual Conference  
University of Manchester  
September 2012

რათა დარწმუნდეთ, რომ ინტერვიუერი თემაზეა ორიენტირებული.

## დოკუმენტური ვიდეო




ამ ტიპის ვიდეო შეიძლება ზემოთ ხსენებული სხვადასხვა ვიდეოს სტილების ნაზავი იყოს, შეიძლება გამოიყენოს ფოტომასალაზე ხმის დადების ეფექტი. ეს მეთოდი განსახილველი საგნის სიღმისეული, საინტერესო გადმოცემის საშუალებას იძლევა. ამ ვიდეოების დაგეგმვას, შექმნას და რედაქტირებას შეიძლება მნიშვნელოვანი დრო დაჭირდეს.




## კონცეფციის ან დიაგრამის დახაზვა

ამ ტიპის ვიდეო მოიცავს კონცეფციის ვიზუალურად წარმოდგენას სურათების, სიმბოლოების, ფორმებისა და ტექსტის გამოყენებით. ისინი სასარგებლოა რთული იდეების ასახსნელად საკითხის ვიზუალური ილუსტრაციისთვის. ამ ვიდეოების შექმნა საკმაოდ სწრაფად ხდება,



მაგრამ სჭირდება დაგეგმვა და გამოცდილება.


## დემონსტრაცია



ევრანის გადაღების ტექნოლოგიის გამოყენებით ადვილია ისეთი საგნების დემონსტრირება, როგორცაა მათემატიკის პრობლემები, განტოლებები ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. ამ ტიპის ვიდეო შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს პრობლემების გადაჭრის გზის ჩვენებისთვის, კომპიუტერული პროგრამების სასწავლებლად. ლაბორატორიული ექსპერიმენტებისათვის ასევე შესაძლებელია კამერების გამოყენება პროცესის ან მოვლენის საჩვენებლად.

## ვიდეო ლაითბორდით

ამ ტიპის ვიდეო საშუალებას იძლევა ერთდროულად ვწერთ დაფაზე და ვეკონტაქტოთ აუდიტორიას. ვიზუალურად საინტერესო გადაწყვეტაა კონცეფციის ახსნისა ნახაზების, ნაწერის, სიმბოლოების საშუალებით და თანაც ინსტრუქტორიც ჩანს.



ამგვარმა ვიდეორგოლმა შეიძლება დიდი დრო წაიღოს და ამიტომ მის გამოყენებას სირთხილით ეკიდებიან



## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

- ◆ ლექცია გიდი - მოკლე თემატური ვიდეოები (5-20წთ), თან ახლავს საჭირო დოკუმენტური მასალა (შესავსები ფორმები, კითხვარები).

გულისხმობს ერთ ვიდეოს, რომელშიც არის პაუზები ან დაყოფილია ნაწილებად. იწყება ინსტრუქციით/დემონსტრაციით, პაუზის დროს სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს დასმულ კითხვას, შეასრულოს დავალება. პაუზის შემდეგ მას შეუძლია მოისმინოს სწორი პასუხი.

## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

- ◆ პროგნოზირება, დაკვირვება, შეფასება: სტუდენტები უყურებენ ვიდეოს პირველ ნაწილს, აკეთებენ პროგნოზს, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდეგ, უყურებენ ვიდეოს მეორე ნაწილს, აფასებენ თავის პროგნოზს და რეალურ შედეგს.

## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

---

- ◆ ემპათია - სტუდენტები გამოთქვამენ აზრს არჩეული თემის ირგვლივ, შემდეგ უყურებენ ვიდეოს. თუ სტუდენტის აზრი თემასთან მიმართებაში შეიცვალა, მან უნდა ახსნას, თუ რატომ მოხდა ეს.



## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

---

- ◆ დისონანსი - მისაღებია ლექციის დასაწყებად (მოკლე კლიპი), როდესაც განსახილველია რთული, საკამათო თემა. სწორად შერჩეულ ვიდეოს შეუძლია დაარღვიოს შექმნილი წარმოდგენა განსახილველ თემაზე, სტერეოტიპი, შექმნას დისკუსიის საფუძველი.

## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

---

- ◆ კურსის აღწერა: ვიდეო შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შესავალი და კურსის ზოგადი მიმოხილვა სტუდენტების მოტივაციისთვის (მაგ. არჩევითი კურსების შემთხვევაში).

## როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მთელი ეს მრავალფეროვნება?

---

- ◆ მოცემულობა პრაქტიკული კურსისთვის: ვიდეო შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ დისციპლინებში, როგორც ინსტრუქტაჟი დავალების შესრულებისთვის.



გმადლობთ!

